



MES 2 20 0000653443



02/08/2020

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 31 ივლისს**. სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა, საბჭოს სხდომას ჩაერთოს ონლაინ.

Topic: **vet.authorization**

Joining Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/83891205816>

Meeting ID: 838 9120 5816

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის - "მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" კონსულტანტი (საბჭოს თავმჯდომარე);

გიორგი ხიშტოვანი - ა(ა)იპ - პმს კვლევითი ცენტრის კვლევითი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ (საბჭოს მდივანი);

ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;

ანა საბახტარაშვილი - ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

გიორგი ტრაპაიძე - სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორი

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტთა კორპუსის მართვის კოორდინატორი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - კოლეჯი „იკაროსი“

რუსუდან ჩართოლანი - დირექტორი

სსიპ - კოლეჯი „თეთნულდი“

ირმა ჯაფარიძე - დირექტორი

ხათუნა ჯაფარიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

შორენა ხაფთანი - სასწავლო პროცესის მენეჯერი

სსიპ - კოლეჯი „ფაზისი“

ნინო ბაკურაძე - დირექტორი

ეკატერინე ფოჩხუა - ხარისხის მართვის მენეჯერი

ნონა ჭელიძე - სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი

სოფიო ტურავა - იურისტი

შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

სოფიო მაჭარაშვილი - რექტორი

ალინა კუპრავა - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“

გიორგი გოგიტიძე - კოლეჯის დირექტორი

მაია თოიძე - დირექტორის მოადგილე

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თამარ აფციაური - სატრანსპორტო ლოგისტიკის პროგრამის ხელმძღვანელი

ნათია ბუთხუზი - წარმომადგენელი

შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტი“

ნინო ბერძენიშვილი - კოლეჯის დირექტორი

ექსპერტები:

ალინა კუპრავა

ნანა შათირიშვილი

მიხეილ სამხარაძე

მანანა მახარაშვილი

ზაირა ბერიძე
ნანა შათირიშვილი
გიორგი დათუკიშვილი
მანანა მოისწრაფიშვილი
მანანა კობალაძე
ნათია იორდანიშვილი
დავით კუპატაძე
ვახტანგ ბოგველიშვილი
თამარ ზარანდია
თამარ რემიშვილი
ალექსანდრე კეკეწაძე
მაია დუნდუა
ნაზო წიბლიაშვილი
ნათია კაციტაძე
ეკა ლუაშვილი
ალექსანდრე კეკეწაძე
ნინო ხაჩიძე
ნათია ქაჯაია

საბჭოს სხდომა 31 ივლისს დაიწყო 10:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და კოლეჯების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მოსამზადებლად სხდომის აუდიო ჩანაწერი მზადდებოდა და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. ფოტო-ვიდეო გადაღება აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - კოლეჯ „იკაროსისთვის“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
2. ა(ა)იპ - კოლეჯ „იკაროსისთვის“ „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
3. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „საოფისე საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
4. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „კულინარიის ხელოვნების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
5. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „კონდიტერიის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

6. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
7. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „სამკერვალო წარმოების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
8. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
9. სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
10. სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
11. სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „ფერმერი-მემცენარის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
12. შპს - ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
13. შპს - ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „საოფისე საქმის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
14. შპს - ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა
15. შპს - ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის (საჩხერე) დამატების შესახებ საკითხის განხილვა
16. სსიპ - კოლეჯი „ბლექსისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
17. სსიპ - კოლეჯი „ბლექსისთვის“ „სასტუმრო მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
18. სსიპ - კოლეჯი „ბლექსის“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
19. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის №77 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
20. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტის“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

1. ა(ა)იპ - კოლეჯ „იკაროსისთვის“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
წარმდგენი: ალინა კუპრავა და ნანა შათირიშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ალინა კუპრავას განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, ა(ა)იპ - კოლეჯ „იკაროსში“ განხორციელდა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ალინა კუპრავამ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებები ერთმანეთს დაემთხვა. მეტწილი შეფასება დაფიქსირდა მხოლოდ პროგრამის რესურსთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით:

კომპონენტი 2.2.1.

კრიტერიუმი 1. პროგრამით გათვალისწინებული რესურსი მობილიზდეს დაწესებულების ბაზაზე. კოლეჯის ბაზაზე მატერიალური რესურსის ნაწილი ადგილზე დახვდათ, ნაწილზე კი წარმოდგენილია შესყიდვის დოკუმენტები, თუმცა ადგილამდე ჯერ მოტანილი არ იყო. დარგობრივი მატერიალური რესურსების უმეტესობა შესყიდვის პროცესშია და შესაბამისობის გეგმის მიხედვით სექტემბრის ბოლომდე მოხდება შეძენა და კოლეჯში განთავსება.

კრიტერიუმი 3. პროფესიულმა განათლების მასწავლებლებმა რომლებიც განახორციელებენ ინტეგრირებულ მოდულებს, რომ შემდონ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასების კომპეტენციის განვითარება, საჭიროა გაიარონ გადამზადება ინტეგრირებული მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში;

პედაგოგთა გადამზადება უნდა მოხდეს სამინისტროს მიერ, სავარაუდოდ სწავლის დაწყებამდე აგვისტო-სექტემბრის პერიოდში და შემდეგ მოხდება მათთან ხელშეკრულების გაფორმება.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მოთხოვნილი აქვთ 180 სტუდენტის რაოდენობა, აქედან ინტეგრირებულ პროგრამაზე 90 ადგილი. ექსპერტებს წარმოუდგინეს სამ ცვლაში, შაბათ-კვირის გათვალისწინებით და აუდიტორიების სიმრავლის გათვალისწინებით, ექსპერტები ადასტურებენ ამ რაოდენობების მიღების შესაძლებლობას.

ექსპერტებმა დაწესებულებას წარმოუდგინეს ვიზიტის დროს გადაღებული ფოტომასალა.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯი ერთ-ერთი მოწინავე კოლეჯია, როგორც ამ დარგის მიმართულებით პროგრამის განმახორციელებელი. აგრეთვე შენიშნა, რომ კოლეჯი თანამშრომლობს ასევე მნიშვნელოვან და წამყვან პარტნიორ ორგანიზაციებთან. შენიშნა, რომ კოლეჯის პროფესიულ პედაგოგებს აქვთ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გამოცდილება და აკმაყოფილებენ მოთხოვნებს.

დაწესებულებას მოდულების სპეციფიკის მიხედვით აქვს მოწყობილი სხვადასხვა აუდიტორია ამ პროგრამისთვის.

მარიამ ჩაგელიშვილი დაინტერესდა, რა მდგომარეობაა ამ დროსთვის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით.

რუსუდან ჩართოლანმა აღნიშნა, რომ კოლეჯში ადმინისტრაციული წარმოება წარიმართა დისტანციურად. კოლეჯს სურს დაიმატოს პროგრამა, თუმცა ანალოგიური საგნობრივი პროგრამის განხორციელების დიდი გამოცდილება აქვთ. დარგთან დაკავშირებული მატერიალური რესურსები, რაც ჩარჩო დოკუმენტიტაა მოთხოვნილი, სრულყოფილად იქნა შეძენილი. ინტეგრირებული მოდულების აღჭურვილობის ნაწილი შესყიდულია და ნაწილის შესყიდვა დასრულდება ორ კვირაში. კოლეჯი პირველად იმატებს ინტეგრირებულ პროგრამას და იმედოვნებენ მოთხოვნა მაღალი იქნება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კოლეჯის დირექტორს დაეფიქსირებინა, რა ვადაში ფიქრობს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2.2. სტანდარტთან მიმართებით.

კოლეჯის დირექტორმა მონიტორინგის თარიღად დაასახელა 1 სექტემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეკომენდირებულია მონიტორინგი ადგილზე ვიზიტით. საბჭომ სამდივნოს მიმართა ოქმში დაფიქსირებულიყო, ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, საბჭოს გადაწყვეტილებით, ვინაიდან ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი დღის წესრიგში დადგეს დისტანციური ვიზიტების აუცილებლობა, ყველა აქამდე არსებულ შემთხვევაში და ამის შემდგომაც, ყველა ვიზიტი, რომელიც საბჭოს მიერ განისაზღვრა მონიტორინგის მიზნით, შესაძლებელია წარიმართოს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების მეშვეობით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯ „იკაროსისთვის“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62-ე მუხლების შესაბამისად,

ა(ა)იპ - კოლეჯ „იკაროსს“ (ს/კ: 211351071) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 1)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 31 ივლისი.

მონიტორინგი ჩაინიშნოს 2020 წლის 1 სექტემბერს ვიზიტით.

2. ა(ა)იპ - კოლეჯ „იკაროსისთვის“ „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
წარმდგენი: ალინა კუპრავა, ნანა შათირიშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ალინა კუპრავას განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, ა(ა)იპ - კოლეჯ „იკაროსში“ განხორციელდა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ალინა კუპრავამ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებები ამ პროგრამის შემთხვევაშიც ერთმანეთს დაემთხვა. მეტწილი შეფასება დაფიქსირდა მხოლოდ პროგრამის რესურსთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით, გაიცა ანალოგიური რეკომენდაციები, რაც წინა საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ამ პროგრამაზეც მოთხოვნილი აქვთ 180 სტუდენტის რაოდენობა, აქედან ინტეგრირებულ პროგრამაზე 90 ადგილი. ექსპერტებს წარმოუდგინეს სამ ცვლაში, შაბათ-კვირის გათვალისწინებით და აუდიტორიების სიმრავლის გათვალისწინებით, ექსპერტები ადასტურებენ ამ რაოდენობების მიღების შესძლებლობას.

ექსპერტებმა დაწესებულებას წარმოუდგინეს ვიზიტის დროს გადაღებული ფოტომასალა.

დაწესებულებას მოდულების სპეციფიკის მიხედვით აქვს მოწყობილი სხვადასხვა აუდიტორია ამ პროგრამისთვისაც.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა მდგომარეობაა ამ დროსთვის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით.

რუსუდან ჩართოლანმა აღნიშნა, რომ საუბარი აქაც ეხება ინტეგრირებული მოდულების იმავე აღჭურვილობას რასაც წინა საკითხის დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კოლეჯის დირექტორს დაეფიქსირებინა, რა ვადაში ფიქრობს, რომ მონიტორინგის ვიზიტი ჩაინიშნოს 2.2. სტანდარტთან მიმართებით.

კოლეჯის დირექტორმა მონიტორინგის თარიღად დაასახელა 1 სექტემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეკომენდირებულია მონიტორინგი ადგილზე ვიზიტით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯ „იკაროსისთვის“ „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წავითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62-ე მუხლების შესაბამისად,

ა(ა)იპ - კოლეჯ „იკაროსს“ (ს/კ: 211351071) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სარესტორნო მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (**დანართი 2**)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 31 ივლისი.

მონიტორინგი ჩაინიშნოს 2020 წლის 1 სექტემბერს ვიზიტით.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, თუ შესაძლებელია, როდესაც საკითხი ეხება ერთი და იგივე რაოდენობის და ერთი და იმავე დასახელების რესურსს ან დოკუმენტს, რომელიც უნდა შემოწმდეს სხვადასხვა (მაგალითად, 2 ან 3) წარმოების ფარგლებში, გადაიხედოს მონიტორინგის საფასურის გადახდის წესი, რომლის თანახმად ცალ-ცალკე ხდება გადახდა.

3. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „საოფისე საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: მიხეილ სამხარაძე, მანანა მახარაშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, მიხეილ სამხარაძის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „თეთნულდში“ ვიზიტი განხორციელდა „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. დაწესებულებაში ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად.

ექსპერტები დაეთანხმენ დაწესებულების მიერ შეფასებას, რომლის მიხედვით 2.2 ქვესტანდარტი შეფასებულია მეტწილად. დაწესებულებას მიეცა შემდეგი შესაბამისობის რეკომენდაცია:

ინდიკატორი 2.2.1.1

შესაბამისობის გეგმის თანახმად შეიძინოს მატერიალური რესურსის ის ნაწილი, რომლის შესყიდვაც ვერ მოასწრო ექსპერტების ვიზიტისთვის. აღნიშნული საკითხი დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმაში, შეფასებული აქვს, როგორც მეტწილი შესაბამისობა და აღჭურვილობების შესყიდვას გეგმავდა 2020 წლის ივლისის პერიოდში. რადგან სასწავლო პროცესის დაწყების სავარაუდო დრო არის 2020 წლის ოქტომბერი, დაწესებულება შეძლებს მითითებული აღჭურვილობების შესყიდვას და პროგრამის განხორციელებას სრულყოფილად. შესაბამისად ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, რომ აღნიშნული ინდიკატორი მეტწილად შესაბამისია.

აღნიშნა, რომ დაწესებულებას გარკვეული უზუსტობები ჰქონდა სასწავლო გეგმაში, სასწავლო რესურსებთან დაკავშირებით და ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე ეს უზუსტობები გასწორდა ვიზიტის პერიოდშივე.

დაწესებულებას მიეცა შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაციები:

ინდიკატორი 2.1.1.4 - საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში დაამატოს სხვადასხვა ინტერნეტ რესურსი, მათ შორის სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სასწავლო რესურსი, ასევე შშმ პირებისთვის აუდიო სასწავლო რესურსი, რომელიც განთავსებულია საიტზე www.vet.ge.

ინდიკატორი 2.1.1.8 - მოახდინოს მოდულების და „სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის“ დანართების ადაპტირება სრულად;

- "გაცნობითი პრაქტიკის" და "მეწარმეობა 2"-ის მოდულებში დამხმარე ჩანაწერები შესაბამისობაში მოიყვანოს სასწავლო გეგმასთან;

- „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულის განხორციელების მიდგომებში მიუთითოს, რომ აღნიშნული მოდულის სწავლება ხორციელდება საწარმოში.

ინდიკატორი 2.2.1.2 - პროგრამის განხორციელების მიზნით შერჩეული მასწავლებლები, კომპეტენციისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით განიხილოს მოდულების ალტერნატიულ განმახორციელებელ პირებად. მოდულების განმახორციელებელ პირებად შერჩეულია თითო-თითო პროფესიული განათლების მასწავლებელი. მასწავლებელთა კომპეტენცია და გამოცდილება, ასევე მოდულების შინაარსი, იძლევა შესაძლებლობას არსებული კვალიფიკაციის ფარგლებში განახორციელონ საგანმანათლებლო პროგრამის სხვა მოდულებიც, რაც მეტად

უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

ინდიკატორი 2.2.1.3 - „საფინანსო დოკუმენტებთან მუშაობის“ მოდულის განმახორციელებელი პირის პირად საქმეში კომპეტენციის შესახებ დოკუმენტაცია სრულყოფილად იქნეს წარმოდგენილი.

ინდიკატორი 2.2.1.4

- პროგრამის ხელმძღვანელისთვის შეიმუშაოს თანამდებობრივი ინსტრუქცია/სამუშაო აღწერილობა, სადაც უფრო დეტალურად იქნება გაწერილი მისი ფუნქცია-მოვალეობები, საჭირო უნარები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ინდიკატორი 2.3.1.1

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კონტექსტში გამოიყენოს კურსდამთავრებულთა დასაქმების, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი და გაწეროს შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტში.

ინდიკატორი 2.4.1.1

- მოდული "ინფორმაციული წიგნიერების" სწავლება დაიგეგმოს ინტენსიურად, პროგრამის განხორციელების დასაწყისშივე, რათა მიღწეული იქნეს სხვა მოდულებით გათვალისწინებული მიზნები და სწავლის შედეგები.

- „დოკუმენტების არქივისთვის გადასაცემად მომზადების“, მოდულის სწავლება დაიგეგმოს უფრო გვიან, პროგრამის განხორციელების მეორე ნახევარში, როდესაც პროფესიულ სტუდენტებს შესწავლილი ექნებათ საქმისწარმოების წესები.

ინდიკატორი 2.4.2.1

- შესაბამისობაში მოიყვანოს „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მე-3 და მე-10 მუხლებით განსაზღვრული პირობები შეფასების ინსტრუმენტის შექმნაზე და შერჩევაზე პასუხისმგებელ პირებთან დაკავშირებით.

- დააზუსტოს და შესაბამისობაში მოიყვანოს „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მე-9 მუხლით და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-10 მუხლით განსაზღვრული პირობები და ვადები პროფესიულ სტუდენტთა დამატებით შეფასებასთან დაკავშირებით. ასევე სასურველია მიეთითოს განმეორებით გამოცდაზე გამოყენებული ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაცია და ნამუშევრის გასწორების ვადები.

- დააზუსტოს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-10 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული ჩანაწერი სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით.

- რეგულაციებში გაწეროს დუალური და ინტეგრირებული პროგრამების შეფასების სისტემის შესახებ

ინდიკატორი 2.4.2.2

- დახვეწოს ვერიფიკაციის და ვალიდაციის მექანიზმები - წინასწარი შეფასების საფუძველზე განისაზღვროს ვერიფიკატორის სამუშაოს მოცულობა, არსებული რესურსები და ამის გათვალისწინებით დადგინდეს რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი; რისკების ანალიზის საფუძველზე შეირჩეს ის ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, რომელთა ვერიფიკაციაც აუცილებელია; მნიშვნელოვანია დეტალურად გაიწეროს შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ინდიკატორი 2.4.2.4

- რეგულაციაში ასახოს განმავითარებელი შეფასების ჩატარების და მის ფარგლებში სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდების ფორმა.

საბჭოს მოსაზრებით 2.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით შესაძლოა შეფასდეს მეტწილი შესაბამისობით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მექანიზმი არსებობს, თუმცა რეალურად მართალია არ დამდგარა სამართლებრივი შედეგები. ყველა მექანიზმის გაუმჯობესების შესაძლებლობა არსებობს და სწორედ ამას ემსახურება ჯგუფის მიერ მიცემული რეკომენდაციები.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა თუ გაითვალისწინა დაწესებულებამ პროგრამის სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

თავმჯდომარე დაინტერესდა, მატერიალური რესურსიდან რა არ დახვდათ ადგილზე.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის დარგობრივი აღჭურვილობიდან გამომდინარე დაახლოებით 100 ლარის მატერიალურ რესურსზეა საუბარი, როგორცაა, ასაკინძი საშუალებები, ნემსი, მახათი და ა.შ. დარგის ექსპერტის აზრითაც შეიძლება შედეგებზე გასვლა ამ ნივთების გარეშე თანამედროვე რეალობაში. თუმცა პროგრამით განსაზღვრულია და სავალდებულოა მათი ქონა. ამდენად, ექსპერტებმა მეტწილი შესაბამისობით შეაფასეს.

მარიამ ჩაგელიშვილი დაინტერესდა, როგორ შეიძლება შეფასდეს დაწესებულების დამოკიდებულება, როცა თვითონ კოლეჯმა მონიშნა მეტწილი შესაბამისობა, როცა საბჭო ნიშნავს მონიტორინგს, თუ 2.2 კომპონენტში მატერიალური რესურსი სრულად არაა წარმოდგენილი (ამ შემთხვევაში, დაახლოებით 100 ლარის ღირებულებით) და ამას სჭირდება დაახლოებით 20-მაგი საფასურის გადახდა. საუბარია სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის დახარჯვაზე, რადგან დაწესებულება ვერ გეგმავს პროცესებს სწორად.

თავმჯდომარე დაინტერესდა, კიდევ თუა შესასყიდი რაიმე რესურსი ამ პროგრამისათვის, გარდა ჩამოთვლილი მცირე მატერიალური რესურსისა.

მიხეილ სამხარაძემ აღნიშნა, რომ საუბარია ასევე სტუდენტის და მასწავლებლის მაგიდასა და სკამებზე, პრინტერზე, აუდიო აღჭურვილობაზე, რაც ვერ იქნა შეძენილი ვიზიტამდე. აქვე აღსანიშნავია, რომ საოფისე უნარების მიღწევა კოლეჯში არსებული სასწავლო რესურსებითაც შესაძლებელია. მათ აქვთ ორი სასწავლო გარემო, აქედან ერთი სრულიად აღჭურვილია 15 სტუდენტისთვის კომპიუტერით, სკამით და მერხით.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაგეგმვის სტრატეგიის მიხედვით, ორგანიზაცია არასწორად აფასებს საკუთარ რესურსებს და აფასებს მეტწილ შესაბამისობად. მაშინ, როცა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით არსებული რესურსების ეფექტური.

საბჭომ სათათბირო დრო გამოიყენა.

თავმჯდომარემ აღნიშნა: იქიდან გამომდინარე, რომ ექსპერტი ადასტურებს, რომ 15 სტუდენტისთვის მატერიალური რესურსი მობილიზებულია, პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 30 შემცირდეს 15-მდე, არ ჩაინიშნოს მონიტორინგი და ამით დაიზოგოს სახელმწიფო რესურსი.

საბჭოს მიაჩნია, რომ პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას მენეჯმენტის მხრიდან მეტი ყურადღება უნდა ეთმობოდეს. იქიდან გამომდინარე, რომ დარგის ექსპერტმა დაადასტურა, რომ დამატებითი რესურსის შესყიდვის გარეშე სწავლის შედეგების მიღწევა სრულყოფილად შესაძლებელია, საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, აღნიშნული საკითხი და სხვა საკითხები, როდესაც იქნება სხვა კოლეჯებთან დაკავშირებით, როცა საჭიროება არ არის, მაგრამ მაინც დაგეგმილია შესყიდვა, შესწავლილ იქნას სათანადო წესით.

ასევე, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს „საოფისე საქმის“ ჩარჩო დოკუმენტი გადაიხედოს კომპლექსურად, სწავლის შედეგების და მატერიალური მინიმალური რესურსები რამდენად საჭიროა პროგრამის დარგობრივ თანამედროვე მოთხოვნებთან.

ასევე მიმართა კოლეჯებს, რომ ბრმად არ უნდა დაეყრდნონ ჩარჩო დოკუმენტს და შეახსენა, რომ ახალი სტანდარტების მიხედვით საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია აცნობოს ცენტრს თუ საჭიროა ჩარჩო დოკუმენტის გადახედვა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო ვერ იზიარებს 2.4 კომპონენტთან მიმართებაში ექსპერტების შეფასებას და 2.4 ქვესტანდარტს საბჭო აფასებს მეტწილად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „საოფისე საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 1 (მარიამ ჩაგელიშვილი)

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „თეთნულდს“ (ს/კ: 235891512) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (**დანართი 3**)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 31 ივლისი.

მარიამ ჩაგელიშვილმა დაასაბუთა საკუთარი გადაწყვეტილება. მისი მოსაზრებით, პროცესი არაა მართლზომიერად დაგეგმილი და გააზრებული, შეიძლება ითქვას, რომ იკვეთება კოლეჯის ადმინისტრაციის გულგრილი დამოკიდებულება.

ვინაიდან რეგიონებში ნაკლებადაა საოფისე საქმის კადრებზე მოთხოვნა, კითხვის ნიშნები ჩნდება პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით. საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს კოლეჯის ხელახალი ავტორიზაციის დროს, დაინტერესდნენ პროგრამის კურსდამთავრებულთაგან რამდენი სტუდენტი დასაქმდება პროფესიით.

4. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „კულინარიის ხელოვნების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: ზაირა ბერიძე, ნანა შათირიშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ზაირა ბერიძის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „თეთნულდში“ ვიზიტი განხორციელდა „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ზაირა ბერიძემ აღნიშნა, რომ წინა საკითხის განხილვისას უკვე სიღრმისეულად განიხილეს ის რეკომენდაციები, რაც ამ საქმისწარმოების შემთხვევაშიც ანალოგიურად დაფიქსირდა ამ წარმოების ფარგლებშიც.

კოლეჯი პროგრამის განხორციელებას გეგმავს ორი მიდგომით: დუალური - 20 პროფესიული სტუდენტისთვის და მოდულური - 30 პროფესიული სტუდენტისთვის.

მიმდინარე წელს გეგმავს დუალური მიდგომით- 10, ხოლო მოდულური მიდგომით 15 სტუდენტის მიღებას.

ხელშეკრულებები გაფორმებულია სამ სასტუმროსთან. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები იმყოფებოდნენ პრაქტიკის ობიექტებზე და მოხდა დათვალიერება, მომავალ ინსტრუქტორებთან (მათთან ჯერ ხელშეკრულება გაფორმებული არ იყო) გასაუბრება.

ხარვეზები არ გამოვლენილა, დაწესებულებას მიეცა შემდეგი შესაბამისობის რეკომენდაცია:

ინდიკატორი 2.2.1.1 ინდიკატორი 2.2.1.1

დაწესებულებამ პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ დამატების განაცხადთან ერთად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, მატერიალურ რესურსი იმ ნაწილის შესყიდვასთან დაკავშირებით რომლის შეძენასაც გეგმავს აგვისტოში და რომელიც ექსპერტთა ვიზიტის დროს ვერ იქნა შესყიდული. დაწესებულების მხრიდან ეს ფასდება როგორც მეტწილი შესაბამისობა. რადგან სასწავლო პროცესის დაწყების სავარაუდო დრო არის ოქტომბერი, დაწესებულება შეძლებს მითითებული აღჭურვილობების შესყიდვას და პროგრამის განხორციელებას სრულყოფილად. შესაბამისად ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, რომ აღნიშნული ინდიკატორი მეტწილად შესაბამისია .

დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაციები, ხაზი გაუსვა რამდენიმე მათგანს:

ინდიკატორი 2.1.1.1 - პრაქტიკის ობიექტზე ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ გაიცა რეკომენდაცია, რომ სასურველია 4 (ოთხი) პროფესიული სტუდენტი (ხელშეკრულების თანახმად) ჩანაცვლდეს 2(ორი) პროფესიული სტუდენტით, რადგან სამხარეო 4 ოთხი სტუდენტისთვის არაა საკმარისი სიდიდის.

აქვე შენიშნა, რომ ამით საფრთხე არ ექმნება დუალური მიდგომით პროგრამისთვის მოთხოვნილ რაოდენობას, ჯამში 12 სტუდენტზეა წარმოდგენილი ხელშეკრულებები. სასწავლო გეგმა არის წარმოდგენილი, სადაც ჩანს საათობრივი დატვირთვა, განაწილება კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტს შორის. ამ ეტაპზე პოტენციურ ინსტრუქტორებთან მოხდა გასაუბრება და ისინი მოხარული არიან, რომ მიიღებენ სტუდენტებს, რომლებიც დაეხმარებიან სამუშაო პროცესში და შემდეგ შესაძლებელი იქნება მუდმივ თანამშრომლადაც აიყვანონ.

სასურველია, ინსტრუქტორების შერჩევის შემდეგ, მათ გაიარონ ტრენინგები და გაეცნონ პროგრამას უფრო სიღრმისეულად.

შორენა ჯაფარიძემ იკითხა, კონკრეტულად რა მდგომარეობაა პროგრამის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით.

ზაირა ბერიძემ უპასუხა, რომ არ არის საკმარისი რაოდენობა, მით უფრო ორი ჯგუფისთვის, შესაბამისად, არის მეტწილი შესაბამისობა, სხვა ქვესტანდარტები კი შეფასდა სრულყოფილად. შორენა ჯაფარიძემ შენიშნა, გაცემულია რეკომენდაცია, რომ რეგულაციებში გაწეროს დუალური და ინტეგრირებული პროგრამების შეფასების სისტემის შესახებ. მან განმარტება სთხოვა ჯგუფს, ვინაიდან 2.4-ში არის დასაშვები მეტწილი შეფასება, ისფიქრობს, სრული შესაბამისობა არაა სახეზე და აღნიშნული კომპონენტი უნდა შეფასებულიყო მეტწილად.

ზაირა ბერიძემ აღნიშნა, რომ როგორც ასეთი მექანიზმი და რეგულაცია არსებობს, თუმცა მისი შეფასებით, პროცედურები შეიძლება იქნეს გაწერილი დეტალურად. ის დაეთანხმა შორენა ჯაფარიძეს, რომ შესაძლოა მეტწილის შეფასების დაფიქსირებაც.

საბჭომ იმსჯელა შესაბამისობებთან დაკავშირებით და მიზანშეწინილად მიიჩნია 2.2. კომპონენტთან დაკავშირებით ჩაინიშნოს მონიტორინგის ვიზიტი და 2.4 კომპონენტის ნაწილში შეიცვალოს შეფასება მეტწილი შესაბამისობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კოლეჯის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ, რა ვადაში ფიქრობენ, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2.2 ქვესტანდარტის, მატერიალური რესურსის შესამოწმებლად.

კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ მცირეთანხიანი შესყიდვები დასრულებილია, თანხა მობილიზებულია და დროულად მოხდება სხვა რესურსების შემენაც სწავლის დაწყებამდე. მონიტორინგის თარიღად დაასახელა 25 ოქტომბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „კულინარიის ხელოვნების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „თეთნულდს“ (ს/კ: 235891512) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (**დანართი 4**)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 31 ივლისი.

მონიტორინგი ჩაინიშნოს 2020 წლის 25 ოქტომბერს ვიზიტით.

5. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „კონდიტერიის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: ზაირა ბერიძე, ნანა შათირიშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ზაირა ბერიძის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „თეთნულდში“ ვიზიტი განხორციელდა „კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

კოლეჯს სურს პროგრამის განხორციელება მოდულური მოდგომით და ჯამში ითხოვს 30 პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 30-ით განსაზღვრას.

ექსპერტებმა მისცეს შესაბამისობის რეკომენდაცია:

ინდიკატორი 2.2.1.1 - დაწესებულებამ პროგრამის „კონდიტერია“ დამატების განაცხადთან ერთად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, მატერიალური რესურსი იმ ნაწილის შესყიდვასთან დაკავშირებით, რომლის შეძენასაც გეგმავს აგვისტოში და რომელიც ექსპერტთა ვიზიტამდე ვერ იქნა შესყიდული. დაწესებულების მხრიდან ეს ფასდება როგორც მეტწილი შესაბამისობა. რადგან სასწავლო პროცესის დაწყების სავარაუდო დრო არის ოქტომბერი, დაწესებულება შეძლებს მითითებული აღჭურვილობების შესყიდვას და პროგრამის განხორციელებას სრულყოფილად. შესაბამისად, ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების შეფასებას, რომ აღნიშნული ინდიკატორი მეტწილად შესაბამისია.

ვიზიტის დროს ექსპერტებს ადგილზე დახვდათ მხოლოდ კონვენციური ღუმელი. სხვამხრივ პროგრამა გამართულია და მცირე ტექნიკური უზუსტობები, რაც ფიქსირდებოდა, კოლეჯმა ვიზიტის დროსვე გამოასწორა.

მარიამ ჩაგეიშვილმა იკითხა, თუ რა ეტაპზეა მატერიალური რესურსის შესყიდვის პროცესი რა ეტაპზეა.

კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში მოხდება ტენდერის გამოცხადება, საამისოდ თანხმა უკვე მობილიზებულია. ტენდერის გამოცხადება

საბჭომ იმსჯელა შესაბამისობებთან დაკავშირებით და მიზანშეწინილად მიიჩნია 2.2. კომპონენტთან დაკავშირებით ჩაინიშნოს მონიტორინგის ვიზიტი და მიმართა კოლეჯის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ, რა ვადაში ფიქრობენ, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2.2 ქვესტანდარტის შესამოწმებლად.

კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ მცირეთანხიანი შესყიდვები დასრულებილია, თანხა მობილიზებულია და დროულად მოხდება სხვა რესურსების შეძენაც სწავლის დაწყებამდე. მონიტორინგის თარიღად დაასახელა 25 ოქტომბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „კონდიტერიის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ (ს/კ: 235891512) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი)**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 31 ივლისი.

მონიტორინგი ჩაინიშნოს 2020 წლის 25 ოქტომბერს ვიზიტით.

6. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

წარმდგენი: მიხეილ სამხარაძე, გიორგი დათუკიშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, მიხეილ სამხარაძის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „თეთნულდში“ ვიზიტი განხორციელდა „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

შენიშნა, რომ დასკვნაში არასწორადაა მონიშნული ტექნიკურად, თუმცა რეალურად 2.2 ქვესტანდარტში ექსპერტები თვლიან, რომ არ შეესაბამება, ხოლო დაწესებულებას აქვს მონიშნული მეტწილი შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.2.1.2 - განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულებას პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის ჰყავს მხოლოდ ერთი განმახორციელებელი. არსებობს ალბათობა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი ისარგებლებს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებებით, როგორიცაა ანაზღაურებადი თუ არაანაზღაურებადი შვებულება, გამოიყენებს საავადმყოფო ფურცელს, გადავა სხვა, მისთვის უფრო ხელსაყრელ სამსახურში და სხვა. ამ გარემოებების დადგომით საფრთხე ექმნება პროგრამის განხორციელების მდგრადობას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხი დაწესებულებას არ აქვს შეტანილი შესაბამისობის გეგმაში.

ინდიკატორი 2.2.1.3 - პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირის პირადი საქმის გადამოწმების შედეგად, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ აღნიშნულ განმახორციელებელს არ აქვს სწავლის შედეგების შესაბამისი კვალიფიკაცია ან სამუშაო გამოცდილება. გასაუბრების დროს განმახორციელებელმა ექსპერტებს განუცხადა, რომ ამ მომენტისთვის მას არ აქვს პროფესიული მოდულების განხორციელების კომპეტენცია, თუმცა ის სწავლობს Cisco CCNA-ს კურსზე და აპირებს Windows Server-ის და Linux-ის კურსები გავლას, რის შემდეგაც შეძლებს პროფესიული მოდულების განხორციელებას.

იმის გათვალისწინებით, რომ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულები მოიცავს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამ სხვადასხვა მიმართულებას (კომპიუტერული ქსელი, Windows სერვერი და ლინუქსი), ასევე სწავლის დაწყების სავარაუდო დრო არის 2020 წლის ოქტომბერი და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, პროფესიული მოდულები იწყება სწავლის დაწყებიდან 28-ე სასწავლო კვირაში, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე აღნიშნული განმახორციელებელი ვერ შეძლებს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხი დაწესებულებას არ აქვს შეტანილი შესაბამისობის გეგმაში.

დაწესებულებას არ აქვს აპარატურის ნაწილი შესყიდული: როუტერი, სახრახნისების ნაკრები და ა. შ., რომლის გარეშე პროგრამა ვერ გახორციელდება, თუმცა შესაბამისობის გეგმაში შეტანილია, რომ უნდა შეიძნოს და ამიტომ შეფასდა მეტწილი შესაბამისობა.

პრაქტიკული პროექტის განსახორციელებლად კოლეჯს მემორანდუმი აქვს გაფორმებული კომპანიასთან, რომელიც მდებარეობს ქ. ზუგდიდში, დაახლოებით 150 კილომეტრში, შესაბამისად წინ და უკან ტრანსპორტირებას მინიმუმ 6 საათი დასჭირდება. დარგის ექსპერტის შეფასებით, ამ მოდულის განხორციელება სავსებით შესაძლებელია კოლეჯის ბაზაზე. დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა მოსაზრება. არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილია დამატებით პირთან გაფორმებული ხელშეკრულება და მისი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი, ექსპერტის მოსაზრებით, ამ პირს აქვს შესაბამისი კომპეტენცია ზემოხსენებული მოდულის კოლეჯის სივრცეში სასწავლებლად.

გიორგი დათუკიშვილმა აღნიშნა, რომ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია პროფესიული მასწავლებლის პირადი საქმე, ხელშეკრულება და ეს პირი, მისი შეფასებით, კომპეტენტურია, თუმცა მხოლოდ ერთი პირი დაემატა და ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება პროგრამის მდგრადობა. ამდენად, მისი შეფასება არ შეცვლილია.

საბჭომ სათათბირო დრო გამოიყენა.

საბჭომ ყველა კომპონენტში გაიზიარა ექსპერტთა მოსაზრება და შეფასება. აქვე ხაზი გაუსვა იმას, რომ მხედველობაში არ მიიღება ვიზიტის შემდგომ გამოგზავნილი დოკუმენტი, ვინაიდან საჭიროებს შესწავლას წარმოდგენილი პირადი საქმე, საჭიროა ამ განმახორციელებელთან გასაუბრება და ა. შ. აქვე დასძინა, რომც ჩაეთვალიათ პროგრამის მდგრადობა 2 განმახორციელებელი პირით ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 6

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „თეთნულდს“ (ს/კ: 235891512) უარი ეთქვას „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 31 ივლისი.

საკითხის კენჭისყრის შემდეგ, 13 საათზე, საბჭომ შესვენება გამოაცხადა. საბჭოს სხდომა განახლდა 14 საათზე.

სხდომის განახლებისას კოლეჯის დირექტორმა განაცხადა, რომ ტექნიკური ხარვეზის გამო მან ვერ გაიგო, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო საბჭომ. გადაწყვეტილების გაგების დროს მან გამოხატა უკმაყოფილება, რომ არ მიეცა პოზიციის დაფიქსირების და არგუმენტაციის წარმოდგენის საშუალება.

საბჭომ განუმარტა მას, რომ საბჭო განხილვაში ვერ გადაერთვებოდა, ვინაიდან გადაწყვეტილება მიღებულია. აქვე შენიშნეს, რომ განხილულ წინა საკითხებთან მიმართებით მიეცა მას საბჭოს მხრიდან პოზიციის დაფიქსირების საშუალება და ინიციატივის გამოჩენის შემთხვევაში (ეს იქნებოდა ჩატის მეშვეობით თუ აუდიო გზით) საბჭო მას მისცემდა სიტყვას, რაც მისი მხრიდან არ დაფიქსირებულა. საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ საბჭო ერთმნიშვნელოვნად იზიარებს ექსპერტთა დასკვნას და კოლეჯს შეუძლია, სურვილის შემთხვევაში, მიმართოს სააპელაციო საბჭოს დადგენილი წესის შესაბამისად.

საბჭოს სხდომა დატოვა მარიამ ქუჩულორია. სხდომას შემოუერთდა გიორგი ხიშტოვანი.

7. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „სამკერვალო წარმოების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: მანანა მოისწრაფიშვილი, მანანა კობალაძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, მანანა მოისწრაფიშვილის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „თეთნულდში“ ვიზიტი განხორციელდა „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

მანანა მოისწრაფიშვილმა აქცენტი გააკეთა პროგრამის თავისებურებებზე.

შენიშნა, რომ კოლეჯს სურს პროგრამის მოდულური მიდგომით განხორციელება 30 პროფესიული სტუდენტისთვის, 15-15 სტუდენტი ორ ჯგუფში. ექსპერტები ეთანხმებიან მოთხოვნილ რაოდენობას.

შესაბამისობის რეკომენდაციები:

2.2.1.(1) დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალი შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ იქნა შესყიდვებთან დაკავშირებული შესაბამისი ინვოისები და გშესაბამისობისგეგმა. შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულება გეგმავს მატერიალური რესურსების შესყიდვის დასრულებას ა.წ. ოქტომბერში, ხოლო სასწავლო პროცესისთვის აღნიშნული რესურსი ესაჭიროება სწავლების 23-ე კვირიდან, ე.ი. დაგეგმილი დროიდან დაახლოებით 5 თვის შემდეგ. შესაბამისად, დაწესებულება დანამდვილებით უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკული კომპონენტის შეუფერხებელ განხორციელებას.

პროგრამა შინაარსობრივად სწორადაა დაგეგმილი, C გარემოს დატვირთვა 40 საათს არ აღემატება.

შორენა ჯაფარიძემ იკითხა, ადამიანურ რესურსის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით რა შთაბეჭდილება დარჩათ ექსპერტებს.

ექსპერტებმა რეკომენდაცია გასცეს, ვინაიდან ადგილობრივად არ არსებობს სამკერვალო საწარმო და ყველა სწავლის შედეგის მიღწევა ადგილზე იგეგმება, გაცნობითი პრაქტიკის მოდულისთვის გაფორმდეს ხელშეკრულება სხვა ქალაქში არსებულ საწარმოსთან და უზრუნველყონ სტუდენტთა გადაადგილება.

მიუხედავად იმისა, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მაღალი ხარისხით წარმართვისთვის სასურველია პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გაიარონ „პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის კურსი“.

2.4.2 ინდიკატორში ცალსახად მოითხოვს მექანიზმის ქონას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის დოკუმენტი შემუშავებულია, რითიც ექსპერტთა მოსაზრებით დაკმაყოფილებულია 2.4.2-ის მე-2 ინდიკატორის სრული შესაბამისობა.

საბჭომ იმსჯელა შესაბამისობებთან დაკავშირებით და მიზანშეწინილად მიიჩნია 2.2. კომპონენტთან დაკავშირებით ჩიანიშნოს მონიტორინგის ვიზიტი და 2.4 კომპონენტის ნაწილში შეიცვალოს შეფასება მეტწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კოლეჯის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ, რა ვადაში ფიქრობენ, რომ მონიტორინგი ჩიანიშნოს 2.2 ქვესტანდარტის, მატერიალური რესურსის შესამოწმებლად.

კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, მონიტორინგის თარიღად დაასახელა 25 ოქტომბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „სამკერვალო წარმოების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „თეთნულდს“ (ს/კ: 235891512) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 6)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 31 ივლისი.

მონიტორინგი ჩაინიშნოს 2020 წლის 25 ოქტომბერს ვიზიტით.

საბჭო სხდომას შემოუერთდა გიორგი ტრაპაიძე.

8. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

წარმდგენი: მანანა მოისწრაფიშვილი, ნათია იორდანიშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, მანანა მოისწრაფიშვილის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „თეთნულდში“ ვიზიტი განხორციელდა „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ინტეგრირებული მოდულებში ჰყავთ შერჩეული შესაბამისი კვალიფიკაციის განმახორციელებელი პერსონალი.

შესასყიდა 49500 ლარის ღირებულების სამკერვალო წარმოების დანადგარები ტენდერის გზით, ექსპერტებს გაუმჯობესების გეგმაში ეჭვი არ შეუტანიათ, ვინაიდან ეს რესურსები ადვილად ხელმისაწვდომია ბაზარზე და თავისუფლად შესაძლებელია იმ მოდულის დაწყებამდე შეძენა, როცა საჭიროა ეს მანქანა-დანადგარები.

დაწესებულებას არ გააჩნია პრაქტიკის ობიექტი. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასაქმების კუთხით ეს დარგი მოთხოვნადია. მეტიაში არაა სამკერვალო წარმოების ფაბრიკა.

პროგრამაში სხვა რეკომენდაციები იდენტურია რაც წინა პროგრამების განხილვის დროს. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლები გააძლიერონ მასწავლებელთა კომპეტენციები ტრენინგების მიწოდებით. მათ დარგობრივ კომპეტენციაში ეჭვი არ შეუტანიათ არც პროგრამის მდგრადობაზე მასწავლებელთა რაოდენობა და დანაზღაურება.

პროგრამას ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელიც ამავდროულად არის პრაქტიკოსი, დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ის ადგილობრივი მაცხოვრებელია, ის წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურს, ამ ეტაპზე დისტანციურად მუშაობს ადმინისტრაციულ თანამდებობაზე. კოლეჯს გაუმართლა, რომ ასეთი კვალიფიციური ხელმძღვანელი ჰყავს პროგრამას.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა პროგრამის ხანგრძლივობით. მანანა მოისწრაფიშვილმა უპასუხა, რომ ინტეგრირებული მოდულების სპეციფიკიდან გამომდინარე პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი. ინტეგრირებული მოდულები თანაბრად გასდევს პროგრამას.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში მოდულში „მეცნიერება და ტექნოლოგია“ თუ ჩანს, რა დრო ეთმობა კონკრეტულად ფიზიკას, ქიმიას ან ბიოლოგიას, ვინაიდან მოდულით არაა გამოიჯენა. მანანა მოისწრაფიშვილმა უპასუხა, რომ ისიც ფიქრობს, რომ უნდა ხდებოდეს გამოიჯენა, თუმცა არ ჩანს სასწავლო გეგმით საათობრივი გამოიჯენა ამ მიმართულებებს შორის.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა კოლეჯის დირექტორს.

კოლეჯის დირექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამსახურისთვის.

აღნიშნა, რომ პროგრამის დარგობრივი მოდულების მატერიალური რესურსების შეძენაზე ფინანსური მხარდაჭერა მოხდა გაეროს პროექტის ფარგლებში და რესურსები სასწავლო წლის დაწყებამდე იქნება კოლეჯში წარმოდგენილი. ინტეგრირებული მოდულებისთვის ლაბორატორიისთვის შესყიდვისთვის სატენდერო წინადადებებს ამზადებენ და 25 ოქტომბრამდე დასრულდება შესყიდვის პროცესი.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ სატყეო საქმის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებაში ჩართული იყო ნათია იორდანიშვილი და მოხარულია, რომ ეხლა დარგის ექსპერტის სტატუსითაა წარმოდგენილი.

ნათია იორდანიშვილმა მადლობა გადაუხადა მას და აღნიშნა, რომ სახელმწიფო პოლიტიკისთვის ამ დარგის განვითარება მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ეს პროგრამა ამ რეგიონისთვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია და ის მოხარულია, რომ კოლეჯი დაინტერესდა აღნიშნული პროგრამის გახორციელებით..

საბჭომ იმსჯელა შესაბამისობებთან დაკავშირებით და მიზანშეწინილად მიიჩნია 2.2. კომპონენტთან დაკავშირებით ჩიანიშნოს მონიტორინგი და 2.4 კომპონენტის ნაწილში შეიცვალოს შეფასება მეტწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კოლეჯის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ, რა ვადაში ფიქრობენ, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2.2 ქვესტანდარტის, მატერიალური რესურსის შესამოწმებლად.

კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, მონიტორინგის თარიღად დაასახელა 25 ოქტომბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „თეთნულდისთვის“ „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62-ე მუხლების შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „თეთნულდს“ (ს/კ: 235891512) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სატყეო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 7) გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 31 ივლისი. მონიტორინგი ჩაინიშნოს 2020 წლის 25 ოქტომბერს ვიზიტით.

9. სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

წარმდგენი: ზაირა ბერიძე, ალექსანდრე კეკელიძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ზაირა ბერიძის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ფაზისში“ ვიზიტი განხორციელდა „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ზაირა ბერიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში ხარვეზები არ გამოვლენილა. კოლეჯს სურს განახორციელოს პროგრამა მხოლოდ მოდულური მიდგომით, ასევე მოდულური მიდგომით და ინტეგრირებული მოდულებით.

სასწავლო გეგმა გაწერილია სამ წელზე ინტეგრირებული მოდულების სპეციფიკიდან გამომდინარე, მატერიალური რესურსი და ადამიანური რესურსი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ინტეგრირებული მოდულების ახლად შერჩეულ პროფესიულ მასწავლებლებს უკვე გავლილი ჰქონდათ სამინისტროს მიერ შეთავაზებული სატრენინგო კურსი.

აღნიშნა, რომ პროგრამასთან დაკავშირებული მცირე ტექნიკური უზუსტობები ვიზიტის დროსვე გასწორდა და აღარ ასახულა რეკომენდაციები დასკვნაში.

კოლეჯს სურს 40 პროფესიული სტუდენტის მიღება. აქედან 20 - ინტეგრირებულ პროგრამაზე, სასაწავლო პროცესი იგეგმება ორ ცვლაში. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება მოთხოვნილ სტუდენტთა მოთხოვნილ რაოდენობას.

საბჭომ მადლობა გადაუხადა ზაირა ბერიძეს, რომელიც, როგორც ყოველთვის, გამოიჩინა კვალიფიციური, მკაფიო და დეტალური პრეზენტაციით.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ადამიანური და მატერიალური რესურსი სრულად წარმოდგენილი იყო. აქვე, მან ხაზი გაუსვა დაწესებულების ორგანიზებულობას, რომელსაც

მატერიალური რესურსი დაწყობილი ჰქონდა იდეალურად და ეს ბევრად ამარტივებდა შემოწმების პროცესს.

აქვე შენიშნა, რომ ერთ-ერთი მოდულის განხორციელებაში ჩართულია მათივე კურსდამთავრებული. იგი ამავდროულად დასაქმებულია ფოთში, ადგილობრივ თვითმმართველობაში. მან, როგორც სტუდენტმა, იცის პროგრამის სპეციფიკა და შეუძლია დადებითად გამოიყენოს ეს ცოდნა და უნარები სწავლების პროცესში და მაქსიმალურად გაამართლოს სტუდენტების მოლოდინები. აქვე შენიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებლების რაოდენობით პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილია.

შორენა ჯაფარიძემ შენიშნა, რომ ინტეგრირებული მოდულები „მეწარმეობა“ და „მოქალაქეობა“ სასწავლო გემით პირველი კვირიდანვეა გათვალისწინებული და რეკომენდაცია მისცა დაწესებულებას, რომ გადაიტანოს აღნიშნული მოდულები ცოტა მოგვიანებით. დაწესებულების წარმომადგენლებმა შენიშნეს, რომ ამ საკითხზე თვითონაც იმსჯელებს და აპირებენ მოდულების გადაადგილებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯი „ფაზის“ (ს/კ: 215101716) უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (**დანართი 8**)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 31 ივლისი.

10. სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა წარმდგენი: ვახტანგ ბოგველიშვილი, დავით კუპატაძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ვახტანგ ბოგველიშვილის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ფაზისში“ ვიზიტი განხორციელდა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ვახტანგ ბოგველიშვილმა აღნიშნა, რომ 2.2 და 2.4 კომპონენტებთან დაკავშირებით ექსპერტები არ დაეთანხმნენ დაწესებულების შეფასებას და შეაფასეს მეტწილი შესაბამისობით.

გაცემულ იქნა შესაბამისობის ორი რეკომენდაცია:

2.2.1(1) - ვიზიტისას, ექსპერტთა ჯგუფს ადგილზე არ დახვდა საჭირო მატერიალური რესურსები/აღჭურვილობა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კოლეჯს გამოცხადებული აქვს ელექტრონული ტენდერი (დაწყების სავარაუდო თარიღი: 29.06.2020, დასრულების სავარაუდო თარიღი: 30.09.2020) საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და უსაფრთხოების საშუალებების შესყიდვის განხორციელების მიზნით, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაწესებულების მიერ გამოგზავნილ განაცხადში 2.2.1 კომპონენტი დაფიქსირებული იყო „სრულ შესაბამისობაში“ და არ იყო წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა. ვიზიტის პერიოდში სსიპ კოლეჯმა „ფაზისი“ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შესაბამისობაში მოყვანის გეგმა, სადაც ასახულია ამ ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის პერიოდი: 29.06.2020 – 30.09.2020, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა (პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები/აღჭურვილობის შეძენა) და პასუხისმგებელი პირი. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ზემოაღნიშნული საკითხი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაში“.

კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნა, რომ დასრულდა სატენდერო ვადა და 31 ოქტომბერს კოლეჯს დასრულებული ექნება შესყიდვა და ამ ნაწილში არ არის რისკი.

2.4.1(3) - გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი/აღჭურვილობა არ გააჩნია და გამოცხადებული ტენდერი ვიზიტის პერიოდისთვის ვერ ითვალისწინებს სასწავლო პროცესში დარგის თანამედროვე შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, ვიზიტზე წარმოდგენილ შესაბამისობაში მოყვანის გეგმაში ეს საკითხიც დაწესებულების მხრიდან შეფასდა, როგორც „მეტწილ შესაბამისობაში“. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობისთვის განსაზღვრულია პერიოდი: 10.09.2020 – 31.10.2020. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს ზემოაღნიშნულ შეფასებას.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის შესრულების თაობაზე.

აქვე შენიშნა, რომ პროგრამასთან დაკავშირებული ტექნიკური უზუსტობები ვიზიტის დროსვე გასწორდა.

დარგის ექსპერტმა, დავით კუპატაძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში არ იყო მატერიალური რესურსი და გამოცხადებული იყო ტენდერი. ექსპერტებს მიეწოდათ ის ჩამონათვალი, რაზეც ტენდერი იყო გამოცხადებული და შეესაბამებოდა პროგრამის მოთხოვნებს.

პროგრამის განმახორციელებელი იქნება 12 პროფესიული მასწავლებელი, რომელთაც უდასტურდებათ შესაბამისი კვალიფიკაცია.

გიორგი ტრაპაიძე დაინტერესდა, აქვთ თუ არა განმახორციელებლებს შრომის უსაფრთხოების და აქვთ სერთიფიკატები. დავით კუპატაძემ აღნიშნა, რომ მასწავლებელთა ნაწილი არიან აკრედიტებული ექსპერტები, უმრავლესობა მათგანი მუშაობს ორგანიზაციებში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებად, ანუ ისინი არიან პრაქტიკოსები.

კოლეჯის წარმომადგენელმა ორი განმახორციელებლის პირადი საქმეებიდან წარმოადგინა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის და გერმანიის საერთშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიერ გაცემული სერთიფიკატები.

საბჭომ სათათბირო დრო გამოიყენა.

საბჭომ იმსჯელა შესაბამისობებთან დაკავშირებით და მიზანშეწინილად მიიჩნია, 2.2. კომპონენტთან დაკავშირებით ჩაინიშნოს მონიტორინგი და ექსპერტთა მოსაზრებას იზიარებს 2.4 კომპონენტის ნაწილში მეტწილ შესაბამისობასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კოლეჯის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ, რა ვადაში ფიქრობენ, რომ მონიტორინგის ვიზიტი ჩაინიშნოს 2.2 ქვესტანდარტის, მატერიალური რესურსის შესამოწმებლად.

კოლეჯის დირექტორმა, ნინო ბაკურაძემ მონიტორინგის თარიღად დაასახელა 31 ოქტომბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე:7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯი „ფაზის“ (ს/კ: 215101716) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 9)**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 31 ივლისი.

მონიტორინგი ჩაინიშნოს 2020 წლის 31 ოქტომბერს ვიზიტით.

11. სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „ფერმერი მემცენარის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა

წარმდგენი: ვახტანგ ბოგველიშვილი, თამარ ზარანდია

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ვახტანგ ბოგველიშვილის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ფაზისში“ ვიზიტი განხორციელდა „ფერმერი მემცენარის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ვახტანგ ბოგველიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ხარვეზები და რეკომენდაციები დაფიქსირებული არაა.

შორენა ჯაფარიძემ იკითხა, ვინაიდან პროგრამას საკმაოდ სერიოზული მატერიალური რესურსი სჭიდება, რამდენად სრულყოფილადაა წარმოდგენილი ადგილზე კოლეჯში საჭირო რესურსი თუ პარტნიორი კომპანიაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ კოლეჯი სრულად არ ფლობს საკუთრებაში პროგრამისთვის საჭირო მატერიალურ რესურსებს და გარკვეული სწავლის შედეგები მიიღწევა პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე, რომელთაც აქვთ სრული მატერიალური აღჭურვილობა. აღნიშნულის შესახებ ხელშეკრულებებსა და მემორანდუმებში დეტალურადაა აღნიშნული. იქ მითითებულია, თუ რა რესურსებზე ექნებათ წვდომა სტუდენტებს. ვიზიტი განხორციელდა პრაქტიკის ობიექტზე. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ თანამედროვე ტიპის აღჭურვილობა აქვთ მათ. ხელშეკრულებაში დაკონკრეტებულია, რომელი მოდული სად განხორციელდება და ამ მიმართულებით, მათი აზრით, ყველაფერი რიგზეა.

შორენა ჯაფარიძემ დააზუსტა, შინაარსით ეს არის პროგრამა მემცენარე, დასახელებით „ფერმერი მემცენარე“. აღნიშნული დაადასტურა კოლეჯის დირექტორმა.

საბჭო დაეთანხმა ექსპერტების დასკვნას და მონიტორინგი არ ჩათვალა საჭიროდ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „ფერმერი-მემცენარის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯი „ფაზის“ (ს/კ: 215101716) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ფერმერი მემცენარის“ საგანმანათლებლო პროგრამა სოფ. ნოჯიხევში (დანართი 10)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 31 ივლისი.

12. შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

წარმდგენი: თამარ რემიშვილი, ალექსანდრე კეკელიძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, თამარ რემიშვილის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ვიზიტი განხორციელდა „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

თამარ რემიშვილმა განაცხადა, რომ კოლეჯის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასაბუთებული პროგრამა მოთხოვნადობა. ხარვეზები არ დაფიქსირებულა. რეკომენდაცია ფაქტობრივად არ გაცემულა. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ხდება სათანადო მექანიზმით.

ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულებისთვის სრულყოფილად მოწყობილია. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, მათ შორის ინტეგრირებულ მოდულებზე, მაღალკვალიფიციურია და აკმაყოფილებენ მოთხოვნებს. დარგობრივ მოდულებზე გათვალისწინებული 4 პროფესიული მასწავლებელი 9 მოდულზე.

დაწესებულებას შეფასებული აქვს ოთხივე კომპონენტში სრული შესაბამისობა და იზიარებს ექსპერტთა ჯგუფი.

ექსპერტებმა დაწესებულებას წარმოუდგინეს ვიზიტის დროს გადაღებული ფოტომასალა.

კოლეჯი ადასტურებს 40 სტუდენტის მიღების შესაძლებლობას.

დარგის ექსპერტმა შენიშნა, რომ კომპიუტერები გაძლიერებულია და ოპერატიული მეხსიერება გაორმაგებულია, ეს არ არის მოთხოვნილი, თუმცა მეტად კომფორტულს გახდის მუშაობას.

საბჭო დაეთანხმა ექსპერტების დასკვნას და მონიტორინგი არ ჩატვალა საჭიროდ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62-ე მუხლების შესაბამისად, შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 11)**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 31 ივლისი.

13. შპს - ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „საოფისე საქმის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

წარმდგენი: თამარ რემიშვილი, მაია დუნდუა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, თამარ რემიშვილის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ვიზიტი განხორციელდა „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

თამარ რემიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ტექნიკური ხარვეზია და ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში კრედიტების რაოდენობა მითითებული უნდა იყოს 106 და 136 კრედიტებია მითითებული და უნდა იყოს 112 და 142 უნდა იყოს მითითებული.

ექსპერტებს სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით ჰქონდათ რეკომენდაციები და ვიზიტის დროსვე იქნა გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „საოფისე საქმის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ე მუხლის შესაბამისად,

შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საოფისე საქმის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 12)**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 31 ივლისი.

14. შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: ნაზო წიბლიაშვილი, თათია კაციტაძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნაზო წიბლიაშვილის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ვიზიტი განხორციელდა „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ნაზო წიბლიაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ხარვეზები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა და ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების შეფასებას.

აღინა კუპრავამ განმარტა პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საჭიროება. დაწესებულება ახორციელებდა პრაქტიკოსი ექთნის პროგრამას. ჩარჩო დოკუმენტის ცვლილების საფუძველზე კოლეჯი გადავიდა საექთნო განათლების პროგრამაზე და კვოტა დარჩა იგივე, თუმცა პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მესამე წელს სტუდენტთა მისაღებად კვოტა არ ჰყოფნით და ამან გამოიწვია რაოდენობის გაზრდის საჭიროება და სურთ განისაზღვროს 84-ით, რაც დაადასტურეს ექსპერტებმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად,

შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) დანართით განსაზღვრულ „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განისაზღვროს 84-ით **(დანართი 13)**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 31 ივლისი.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა მარიამ ქუჩულორია.

15. შპს - ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის (საჩხერე) დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: ნაზო წიბლიაშვილი, თათია კაციტაძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნაზო წიბლიაშვილის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ვიზიტი განხორციელდა „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ნაზო წიბლიაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის საჭიროებას კოლეჯი ასაბუთებს წარმოდგენილი კვლევით. საჩხერეში სურს განახორციელოს პროგრამა. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ადგილობრივი დიდი კლინიკა და მათთან გასაუბრებით გამოიკვეთა დამატებითი ახალი კადრების დასაქმების საჭიროება. კლინიკა გეგმავს ასევე გაფართოებას და დაასაქმებს კურსდამთავრებულებს.

კახაბერ ერაძემ და საბჭოს წევრებმა შენიშნეს, რომ ქვეყანაში ზოგადად ექთნების სიმცირეა და დასაქმება არ გაუჭირდებათ.

დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 63 სტუდენტი გათვალისწინებულია სამ წელზე, თითოეულ მიღებაზე 21 სტუდენტი. რეგიონში ნამდვილადაა კადრების სიმცირე და სწორედ კლინიკის მომართვის საფუძველზე გადაწყვიტეს პროგრამის განხორციელება საჩხერეში.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს განემარტათ, კლინიკური პრაქტიკის მოდულების გავლის/შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევის კუთხით, პრაქტიკის ობიექტზე უზრუნველყოფილია თუ არა ყველა პრაქტიკული კომპონენტის მოდულების განხორციელება, ხაზი გაუსვა ფსიქიატრიის განყოფილებას.

დარგის ექსპერტმა ჩამოთვალა განყოფილებები, რომლებიც საჩხერეში პრაქტიკის ობიექტს აქვს აღნიშნულ კლინიკას არ აქვს მხოლოდ ერთი - ფსიქიატრიის მიმართულება არ აქვს. ამიტომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ქუთაისში ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პროვენციის ცენტრთან. კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტთა გადაადგილებას.

დარგის ექსპერტმა ასევე შენიშნა, რომ კოლეჯს შერჩეული ჰყავს კვალიფიციური განმახორციელებლები, როგორც თეორიული საგნებისთვის, ასევე პრაქტიკის მიმართულებით ინსტრუქტორები.

საბჭომ სათათბირო დრო გამოიყენა.

საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ვინაიდან ეს ეხება რეგულირებად პროფესიას, შეისწავლოს პრაქტიკის ობიექტების რელევანტურობის საკითხი პროგრამის კლინიკური პრაქტიკის კომპონენტების სრულფასოვნად განხორციელებისთვის. შენიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების 42-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, საბჭოს მინიჭებული აქვს დამატებითი მოკვლევის შესაძლებლობა. მიმართა ცენტრს, ცენტრმა გამოითხოვოს ინფორმაცია შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოდან. კონკრეტული მოდულების ჩამონათვალის მიხედვით, შეფასდეს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი კლინიკების სამედიცინო პროფილის რელევანტურობა აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან.

შენიშნა, რომ საბჭო მოწოდებულია ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფას, მიზანშეწონილად არ მიიჩნია გადადება, რათა არ შეაფერხოს სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესები. საბჭო ეთანხმება ექსპერტთა შეფასებებს და მონიტორინგის აუცილებლობას ვერ ხედავს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიისთვის „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის (საჩხერე) დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ქალაქ საჩხერეში (**დანართი 14**)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 31 ივლისი.

16. სსიპ - კოლეჯი „ბლექსისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

წარმდგენი: ეკა ლუაშვილი, ალექსანდრე კეკელიძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

